

ლიცეოს სურული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ ღამატიკა
№8, 28 აპრილი, კვირა, 2022 წელი



ა გ ე ი ს ც ო ს ს ე ე დ ა

ნეტავი იმ დროს!



შვეული ტეშელაშვილი

ჩემი დევნილობის მანძილზე ერთი დღეც არ ყოფილა, ავნივზე არ მეფიქროს...

რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გაუცნობიერებლად ფიქრობ შენს სახლ-კარზე, ეზო-გარემოზე...

ერთი შემთხვევა დასტურია იმისა, თუ როგორ გვენატრება,

გვიხმობს და გვეძახის ადგილის დედა!

ჩვენს საცხოვრებელ კორპუსთან პატარა სკვერია, თავისი ატრიბუტებით. წელიწადის ყველაზე აქტიურ დროს – ზაფხულში აქ ჯდომას არაფერი სჯობს. მიზიდავს სკვერში წინვოვან და ფოთლოვან ხეთა სიმრავლე. წინვოვანის გარდა, აქ არის ტყემალი, ალუბალი, ვაშლი, კომში, თუთა, თქვენ წარმოიდგინეთ, ნუშიც კი. არაფერი სჯობს გაზაფხულზე აყვავებული სკვერის ცქერას, მაგრამ ზაფხული მაინც სულ სხვაა. მშვენიერია ამ დროს ხის ძირში ფიქრი. საფიქრალს კი, რა გამოუღვეს დევნილ ადამიანს...

ახლაც სკვერში ვზივარ, გრძელ სკამზე. ჩემგან ხელმარცხნივ ტყემალი დგას, ჩვეულებრივი, ყვითელი ტყემალი. მზისკენ აუშვერია დახუნძლულ-დამკრახული ტოტები. სკვერის ეს ადგილი განსაკუთრებით მიყვარს და მიზიდავს. თუ სკამი თავისუფალია, იქ მიმინევს გული.

სწორედ ასეთი ტყემალი გვექონდა სახლის უკან, ავნივში...

ამ პარალელმა ფიქრთა საღერღელი ამიძალა, ამაფორიაქა და კალამიც ამაღებინა...

ის ტყემალი ღობის ძირში თავისით ამოვიდა, გამხმარ თუ დამპალ ტყემლის ფესვზე. მეუღლეს ვთხოვე, მისთვის

არეალი მიეცა, – ისეთ ადგილზეა ამოსული, ღობეს მაინც გაამაგრებს-მეთქი. მაშინ ვფიქრობდი, რომ მის წინ მდგარი ალუბალი მეტის გასაქანს არ მისცემდა.

გამოხდა ხანი. იყოჩალა ტყემალმა და ზრდაში დაენია მსხვილმარცვლება ალუბალს, რომელიც მზეს მიფიცებოდა და არხეინად ისმენდა რუს რაკრაკს.

მეზობლები (ტყემალი და ალუბალი) ჰარმონიულად შეეწყვნენ ერთმანეთს. თვითონვე დაარეგულირეს სივრცე, სადაც ორივეს უნდა ეარსება. ტყემალი, თითქოს მიხვდა, ფხას თუ არ გამოიჩინდა, ალუბალი მზის ნატრულს გახდიდა. ალუბალმა კი, თავის მხრივ, ხელი არ შეუშალა ტყემლის რამდენიმე ტოტს, რომელიც სწრაფად მიიწვედა მზისკენ და, თავისთავად, მეზობლის გადასახვევად.

ტყემალიც და ალუბალიც უხვნაყოფიანი მცენარე დადგა. უსაფუძვლო აღმოჩნდა ფიქრი ერთმანეთის დაჩაგვრასა და ხელის შეშლაზე. მშვენივრად გრძნობდნენ თავს იმ მოცემულობაში, რომელიც არსთა გამგებელმა დაანესა მათთვის...

ურთიერთობა, ალბათ, გაგრძელდებოდა, რომ არა ჩრდილოეთიდან წამოსული ქარბორბალა, რომელმაც წერტილი დაუსვა კეთილ მეზობლობას!..

არსებობს გამოთქმა: ბალზე ზის და ტყემალს კრეფსო. სწორედ ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. ოღონდ, პირდაპირი მნიშვნელობით: ტყემალზე გასული, ალუბალსაც დააგემოვნებდი (ისიც ხომ ბლის სახეობაა) და პირიქით, თუ ალუბლის ტოტზე იყავი მოკალათებული, შეგეძლო ქარვისფერი, დამკრახული ტყემლის ნაყოფისთვისაც შეგეველო ხელი...

ამ გაგანია სიცხეში, როცა რვა აგვისტო კარზეა მომდგარი, ერთ ორიგინალურ ნატვრას გავუმხელ მკითხველს:


ნეტავი იმ დროს, როცა მე ბალზე (თუნდაც, ალუბალზე) ვიყავი გასული და ტყემალს ვკრეფდი...

როცა ყველანი იქ ვცხოვრობდით...!

იქ, საიდანაც გვიხმობს და გვეძახის ადგილის დედა!



პოეზია



მაია
შაქაშვილი

64...

აგვისტოს ხვატი,
შენ – ნირნამხდარი...
აღმური ასდის
უხმო ფილაქანს...
უხმო ბავშვობას,
ან, უკვე მხდალი,
რომელიც, სადღაც
გაჰყვა ნიაგ-ქარს!

შენ მიატოვე მთა
და ლურჯი ცა,
სუფთა შარაგზა,
ნიფელი, მუხა,
წელში მოხრილი
დედა და მამა, –
უშენობას რომ
უცრემლოდ სწუხან!
გელოდებიან
მთები მდუმარედ,
ზეცის სილურჯე
ნისლს შერევი,
მთაში სიცოცხლის
ყოფნა-არყოფნას
ბებერი ანმყო
ვერ შელევია!
კენესის მუსიკა,
ცეკვავს წარსული,
როგორც უმწეო,
ნაზი ფერია, –
წელში მოხრილი,
თვალ-სევდიანი,
თმა ჭალარათი
რომ შეფერვია!

ბედნიერებას
ლაშქა... ცაზე – მთვარე შიშველი,
ანდამატია ზეცაც და მიწაც,
კვლავ გვედრები, მოდი, მიშველე,
მო... მოუთმენლად მოველი იმ წამს!
ინათა, მთებმა გაიძრეს ნისლი,
ჩიტებმა ინყეს ტყეში კვლავ ფრენა,
ვცდილობ, მოგძებნო...მო... ხმა არ ისმის,
დღე ღამეს გასდევს მუდმივ რეფრენად!
გამინაცრისფრდა დღენი ყოველი,
მუდარით ვუსმენ ქარის არიას,
მო... მოუთმენლად, მოდი, მოგელი,
მღერით – ღვთისმშობლის „ავე მარია...“
მსურს, რომ ჩიტვიტ მქონდეს მეც ფრთები,
გადავიფრინო ცხრა ზღვა, ცხრა წყარო...
რამდენადაც მსურს, იმდენად ვხვდები,
ამ სურვილს ჩადრი ჩამოვაფარო!
ფუჭია ოდენ... სიმგანყვეტილი
ოცნება-ფიქრში დღენის გალევა,
კვლავ მრჩება კითხვის მრავალნერტილი –
რისთვის აცდუნა ადამი ევამ?!

მე, სიყვარულით ედემის...
გინახავთ მთები შლილები,
ფთილა ღრუბელთა ჩრდილებით?
და მთების თეთრი კალთები,
ცხვრის ფარით დათოვლილები?
გინახავთ მწვანე მინდორი –
ლილილო-ნაგვირილევი?
გინახავთ ყაყაჩოები –
გიშრისფერ თვალგაშლილები?
უამთა უწყვეტი დინებით,
გორები – მთების შვილები,
ქარები, ქარაშოტები,
გიჟები, ჭკვა-შეშლილები...
კოშკები – ცამდე აწვდილი,
ბრძოლაში გამოცდილები,
სოდომ-გომორის საწუთრო,
ღვთიურ ცხოვრების დილემი!
მოგორავს ღანვზე ცრემლები,
ცხელ გულში ნალოლივები...
მე, სიყვარულით ედემის,
კვდები... ვდენი და ვილევი!..

ქურდი ქარაშოტი
უეცარ ისხარს
მოჰყვა ქარაშოტი,
ქურდივით მომეპარა,
გრძნობები წაიღო...
უფოთლოდ დამიტოვა
ქარმა ყველა ტოტი,
შორს გააქროლა და
ფეხქვეშ დაიგო...

ისევ იდიდგორე!
მყის დატრიალდება
ირგვლივ ქარბორბალა
და გადავიტყევი
იადონი ქორად!
მუხავ, ფესვძლიერო,
ისევ იდიდგორე,
მესიის მახვილად
იქეც, იდიდგულე!..
და ვითარცა ლომი,
ვითარცა გრიგალი,
იყავ უღვთობასთან
კვლავ შეურიგალი!

უფრო მიყვარდები,
როცა მესმის ოდენ
მავანთ უგერგილო
ღვარძლის ბგერა, ბოდვა...
სული წინაპართა
ვხედავ, როგორ გოდებს...
და ვგრძნობ გმირულ მოდგმის
ნატერფალთა ბორგვას!
შვილნი, ვითომ შენი,
როცა გლალატობენ,
შენს ღამაზ ნალკოტებს
რაცხვენ ქვების გორად...



ალექსანდრე
შაქაშვილი

მინი-პროზა

მე – შეშლილი და გარდაცვლილი...

ცივა...
ღმერთო ჩემო, სულ გამთოშვია სული და უძღურ
სხეულსაც, ურჩობით, მორჩილებაზე უარი უთქვამს...
ღმერთო, სად ვარ?! რა ხდება?!
ჰეი, თქვენ! რას სჩადით?!
მე ...მე ცოცხალი ვარ! გესმით?! ცოცხალი!
ვერ ვინძრევი... უნდა ავდგე... მოვიდნო, მოვიდნო,
ვეცადო, ვიბრძოლო და ავდგე!
არა, ვიცოდი... რა თქმა უნდა ეს სიზმარია...
სულ ცოტაც და, კომმარულ ილუზიას თავს დავაღწევ...
არა! არა! არა! ვერ ფხიზლდები!
ჰეი, თქვენ, რას სჩადით?!
მომეშველეთ, გამომიწოდეთ ხელი და დაასრულეთ ეს, საშინელი შეგრძნება
ჩემში!
გთხოვთ...
რას შეკრებილხართ და დამტრიალებთ თავს, მშვიერი სვავებივით?!
ღმერთი არ გნამთ? მომეშველეთ...
ძვირფასო... შენ?
მომეშველე, გთხოვ. ჩამოდი სამარეს, ამ დაძაბუნებული ფეხებით ვერას ვანყო,
მხარში შემომიდექი, ჩემო ღმერთო, ამომიყვანე ამ სარკოფაგიდან. რამ გაგიცივა
გული, ღმერთო? რად არ გესმის ჩემი ხმა, ჩემი თხოვნა და მუდარა? ეს არის
შენი ქალობა?! ის ფიცი, რომელიც ერთად დავდეთ სვეტიცხოვლის ამბიონზე, რომ
სიცოცხლესა და სიკვდილში, ლხინსა და ჭირში ერთნი ვიქნებოდით! ჰოდა მიჭირს!
ვერ ვიმორჩილებ სხეულს... შემეშველე, გემუდარები!
მანც არ გესმის, არ მისმენ, შემოსილხარ ძაძით და ცრემლად იღვრები...
არ მინდა მწუხარება, მხოლოდ იმას გთხოვ, ხელი გამომიწოდე, რომ ჩავეჭიდო,
ღმერთო და ამოვართო ამ სამარედან შეციებული გვამი, უძღურად განსვენებული.
ძმაო...შენც?
შენ მანც მომეშველე, ბიჭო... ხომ ხედავ, რარიგ გამომეტეს სამინედ, უნამუსოდ,
სახლი ფიცრით უფიცრიათ და კარიც ლურსმნით უჭედიათ... მიშველე, ძმაო. აქ ნუ
დამტოვებ, მომეცი ხელი, ჩაგეჭიდო!
შენც რარიგ შემოსილხარ და ურცხვად იცრემლები...
დედი... შენც, დედი?!
გთხოვ, ოღონდ შენ არა. ნადი! ახლავე ნადი! შენი ცრემლებით მკლავ, ისედაც
მინად მიგვრილს, დედი, გეხვეწები, გულში ჩამიკარი, არ მიღალატო, არ მიმატოვო,
როგორც უნინ, ჩვილს, რომ ხელში ატატებულს დამატარებდი, გთხოვ, ახლაც მაგ
მკლავთა სავანეზე დამასვენე, დედი...
შვილო, შენც, მამი?
ჩემო ყვავილო, ჩემო მზეო, შენ როგორ გთხოვო შეველა... ისედაც უშენობით
ყოველდღე მინატრია სიკვდილი... ნადი... ნადი, მამი, არ მინდა გხედავდე აქ, ამ
გორაკზედ, მიძინებულ სააქაოში.
მეგობარო, შენც?
შენც აქ ხარ და ასე ურცხვად დამტირი?! ეგ არის შენი ძმობა და ბიჭობა?! ეგ
არის ჩვენი მეგობრობა? მოდი, მომეხმარე! მიმეგობრე და შეეხიდე ჩემს სხეულს!
მე ხომ შენს გამო რა არ გამივლია? რა არ გვინახია? ასე რამ დაგაძაბუნა, ასე რამ
გაგიცივა გული?!
შენ, მოძღვარო!
შენ, მანც მისმინე! დაინდე ჩემი სული და უფალს შესთხოვე, სხეულს
დაუბრუნოს! შენ გაგიგებს! შენ მოგისმენს! მე? მე ვერ ვხედავ, ისედაც ხორცად
მიღება ძვლებზედ შეზრდილი ცოდვები... ნუ გამიშვებ ასე, დამძიმებულს, ასე,
შელახულს, გემუდარები!
რატომ არ მისმენთ? რატომ არ გესმით?
რითვის ვომობდი? რისთვის ვშრომობდი?
თავს არ ვზოგავდი! მთელი ცხოვრება, მხოლოდ სხვაზე ზრუნვასა და ყოფითი
პრობლემების მოგვარებაში გავლიე, არ დავიშურე არავისთვის არც ღონე და არც
სიყვარული! მერე და რისთვის?! რომ ასე, ძალღივით ჩაგეგდეთ ხის ქონში და
სამარეში გამოგემწყვრიეთ?!
შემირცხვენია თქვენი რაობა!
ნადით! ნადით, გამშორდით!
გზას ენით თქვენ თქვენსა სავალს!
მე კი, სამინედ განწირული,
სულით, უფალთან, სამსჯავროს ავალ!!!

ღ ე ბ ი უ ც ი



მანანა კანთელაშვილი – ტკოცის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. წინამდებარე მოთხრობამ საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „შემოქმედი მასწავლებელი“ ყიურის მოწონება დაიმსახურა და ამავე კავშირის მიერ გამოცემულ კრებულში შევიდა. ვულოცავთ მანანას წარმატებას და წინსვლას ვუსურვებთ შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

მოლოდინი

ჩვენი სოფლის განაპირას ხის სახლი დგას, ძველი და მიტოვებული. სახლის ეზოს ხავსი მოჰკიდებია და ეკალ-ბარდებიც ისე დაუნდობლად შემოხვევიან, თითქოს ერთი სული აქვთ, წარსული ნაშალონ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ამას ვერ შეძლებენ!.. მიუხედავად ყველაფრისა, ეს სახლი სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოდ ქცეულა...

ამ სახლში მარტოდმარტო ცხოვრობდა თბილი, სევდიანი მოხუცი ქალი, რომელიც მუდამ გზას გაჰყურებდა... ვიღაცას ელოდა. სოფელში ნაზო ბებოთი იცნობდნენ. ნუთისოფელმა ნაზო ბებოს ცხოვრებასაც დაამჩნია მტკივნეული კვალი, არ დაინდო და შეუბრალებლად მოექცა. ნათესავები და მეზობლები თავიანთი ყურადღებით უმსუბუქედნენ მოხუცს რთულ ცხოვრებას. ამ პატარა უბანში ნაზო ბებო ყველასი იყო და ყველას უყვარდა.

ჩემი მოსწავლეები ხშირად სტუმრობდნენ მოხუცს, განსაკუთრებით კი, მის მეზობლად მცხოვრები პატარა გოგონა. იგი გულდასმით უსმენდა ქალს, თავის ამბებსაც უყვებოდა, ხანდახან საქმიანი დიასახლისივით დატრიალდებოდა და ახალისებდა მოწყენილ გარემოს. მოხუციც ყოველთვის დიდი სიყვარულით ხვდებოდა თამუნას და, თუ დღე ისე გავიდოდა, არ მიაკითხავდა ან დაიგვიანებდა, აწრიალდებოდა და მოსვენებას დაკარგავდა. ამასობაში თამუნაც გამოჩნდებოდა მოციმციმე მზის სხივივით და მოიკითხავდა:

- ნაზო ბებო, როგორ ხარ? ხომ არაფერი გჭირდება?
- შენ მჭირდება, შვილო, შენი ხმის გაგონება მომენატრა.
- აი, მეც მოვედი, შენთან ვარ, არ ინერვიულო!
- შენ გენაცვალე, ჩემო თვალისჩინო, ჩემო იმედო. – მიესიყვარულეოდა გოგონას ქალი, ჩვეულებისამებრ მისთვის გადანახულ ტკბილეულს მისცემდა, იქვე, სკამზე ჩამოსხდებოდნენ და თანატოლებივით საუბრობდნენ. დიდი ასაკობრივი სხვაობა მათ ურთიერთობას სულაც არ უშლიდა ხელს, პირიქით, უფრო საინტერესოს ხდიდა. როდესაც თავის განვილი ცხოვრებას იხსენებდა, უდიდესი ტანჯვის კვალი ემჩნეოდა მარტოხელა მოხუცის ჩაფერვლილ თვალებსა და დანაოჭებულ სახეს. ამბის თხრობისას, სადღაც, შორეულ წარსულში თავდავიწყებით გადაეშვებოდა და იქიდან საუბრობდა.

ახალგაზრდობა ხომ ნებისმიერ დროს საინტერესო და მიმზიდველია, რადგან დაუშრეტელი ენერჯია ადიდებული მდინარესავით სისხლის სახით ბობოქრობს ძარღვებში და ეს მოძრაობა სიცოცხლის ხალისით ავსებს ადამიანს, ამქვეყნიურ ცხოვრებაში ნეტარებას აგრძნობინებს. ამ დროს ხომ ყველა და ყველაფერი შენი გგონია, შეუძლებელი არაფერია! დიას, იმიტომ, რომ ახალგაზრდა ხარ!.. ახალგაზრდა იყო ერთ დროს ნაზო ბებოც, ეშხიანი, თბილი და ფუტკარივით მშრომელი გოგონა. ნაზობროლა ერქვა. სკოლის დამთავრების შემდეგ, კურსები გაიარა და თავისივე სოფელში ბულალტრად დაიწყო მუშაობა. დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ნაზობროლამ... სოფელში სტუმრადმისული მოხდენილი ახალგაზრდა კაცის თვალს არ გამოპარვია მომხიბვლელი გოგონა, არც ის დარჩენილა მისადმი გულგრილი. მალე ეს გრძნობა სიყვარულში გადაიზარდა. ნიკოლოზმა ხელი სთხოვა გოგონას და კიდევ ერთი ქართული ოჯახი შეიქმნა...

მშვენიერი პატარძალი სოფელში ყველას მოეწონა. მისით მოხიბლული მეზობლები ამბობდნენ: „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“. რომ იტყვიან, მართლაც, ხორცმესხმულ ანგელოზს ჰგავდა ნაზობროლა, ქმრის სახლშიც სითბო და სიხარული შეიტანა...

თუმცა, აკაკის თქმის არ იყოს „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ – ქორწინებიდან ჯერ მხოლოდ ორი კვირა იყო გასული... მხოლოდ ორი კვირა...

შემოდგომის მოწყენილი დღე იდგა, ნაცრისფერი ღრუბლები ზანტად მიმოდიოდნენ ცაზე. ცოლ-ქმარი ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე საუბრობდა... გარედან ძახილი შემოესმათ. ეტყობოდა, რომ ალელგებული ადამიანის ხმა იყო. ნიკოლოზი გავიდა და ყვითელი ფურცლით ხელში დაბრუნდა. ფოსტალიონს უწყება გადაუცია მისთვის, – ნიკოლოზს ომში ინვედნენ, მეორე მსოფლიო ომში!.. სასონარკვეთილმა ქალმა ქვითინი დაიწყო... ძნელი სანახავი იყო მათი ერთმანეთთან გამოთხოვება. ქმარი თავის დიდ სიყვარულს იმედს აძლევდა, რომ მალე ჯანმრთელი დაუბრუნდებოდა. შინიდან გასვლამდე ნიკოლოზი შეეცადა მძიმე ნუთების შემსუბუქებას, მაგიდაზე ბარაქიანად

დანყობილ ხილს დასწვდა, ერთი დიდი, ნითელი ვაშლი აიღო, ჩაკბინა, ცოლს მიანოდა და სიცილით უთხრა:

- ნაზობროლა, შეინახე ეს ვაშლი ჩემს მოსვლამდე და ყოველ დღე, ყოველ წუთს გამიხსენე!
- ბუხრის თავზე შემოვდებ... იმედია, შენც პირობას შეასრულებ და ჯანმრთელი დამიბრუნდები! – უთხრა ნაძალადევი ღიმილით თვალცრემლიანმა ქალმა.

- რა თქმა უნდა, ჩემო მშვენიერო, არც გაბედო, რომ ეჭვი შეიტანო შენს ნათქვამში! – ნიკოლოზმა ეს სიტყვები ცოლის დასამშვიდებლად თქვა, თავში კი ათასნაირი უსიამოვნო ფიქრი უტრიალებდა.

განსაკუთრებული სიყვარულით და გულისტკივილით იხსენებდა ხოლმე ნაზო ბებო ამ ამბავს. კარგა ხანს სათუთად ინახავდა ვაშლს, მაგრამ როდემდე გაძლებდა? ჯერ ჩაკბენილი ადგილი დაულპა, ქალმა შემოატრიალა და ახლა სალი მხარით დადო, ისიც დალპა, მალე ვაშლი მთლიანად გაფუჭდა. ნაზობროლამ გადასაგდებად მაინც ვერ გაიმეტა. ვაშლმა ჭკნობა დაიწყო. ქალი ისევ იმედის თვალთ შეჰყურებდა და ქმრის სიტყვები ახსენდებოდა: „მე დავბრუნდები!“ შემდეგ, ვაშლისგან კურკებილა დარჩა, ბოლოს ისიც მტვრად იქცა. მტვერიც კი არ გადაყარა, ქალაღში გამოახვია და ისევ ბუხრის თავზე დააბრუნა. საბრალო ქალს თვალსა და ხელს შუა მტვერიც გაუქრა და ცარიელი ქალაღი შერჩა...

ნიკოლოზმა ცოლს ჯარიდან რამდენჯერმე გამოუგზავნა წერილი. ერთ-ერთ წერილს, რომელსაც თან ახლდა მეგობრებთან ერთად გადაღებული მისი სურათი, ნაზო ბებო ღიმილით იხსენებდა. ნიკოლოზი წერდა:

- ვიცი, ამ სურათზე ჩემი კოცნა მოგინდება, მაგრამ ასე არ მოიქცე, რადგან შენი ტუჩები სხვებსაც შეეხება, მე კი ეს არ მინდა, ის მხოლოდ ჩემიაო...
- ომი დამთავრდა. ნიკოლოზი არ დაბრუნებულა. ქალს ქმრის გარდაცვალების შეტყობინება არ მიუღია, არც ტყვედ ჩავარდნის... გარკვეული ხნის შემდეგ ნაზობროლას კარს ახალგაზრდა უცხო მამაკაცი კითხვა-კითხვით მიადგა, რომელიც იმ სოფლის გავლით სხვა სოფელში მიდიოდა. იგი ნიკოლოზის ნაცნობი აღმოჩნდა.

- მცხეთელი კაცი ვარ, საგანგებოდ ვაპირებდი თქვენთან მოსვლას. დღეს ამის საშუალება მომეცა.
- ალბათ, ასეა საჭირო, ყველაფერი ხომ უფლის ნებაა.
- თქვენს მეუღლეს ვიცნობ, ვიცოდი, ტკოცაში ცხოვრობდა. თქვენს შესახებაც არაერთხელ უსაუბრია ჩემთან.
- რაო, რა გითხრა? ცოცხალია? – მიაყარა ქალმა კითხვები.
- ჩვენ გარკვეული ხანი ერთად ვიყავით, მერე ნიკოლოზი სხვა ნაწილში გადაიყვანეს და ამის შემდეგ არ მინახავს. ჩვენმა საერთო ნაცნობმა მითხრა, იგი სხვებთან ერთად ტყვედ აუყვანიათო. მე მხოლოდ ეს ინფორმაცია მაქვს, სხვა არაფერი.

- ნეტავ ცოცხალი იყოს და თუნდაც, ცხრა მთას იქით, – უთხრა თვალცრემლიანმა ქალმა. კაცს, როგორც ჩანდა, ხელჩასაჭიდი ინფორმაცია მართლაც არ ჰქონდა... იგი დაემშვიდობა ნაზობროლას და წასვლისას კიდევ ერთხელ გაამხნევა:

- ნიკოლოზი ცოცხალია, უყვარხარ... არ დაივიწყო! დარწმუნებული ვარ, რომ ტყვეობიდან გათავისუფლდება და დაგიბრუნდება!
- დამიბრუნდება! წასვლისას დამპირდა და მეც მის მიერ დატოვებულ კერაზე დაველოდები! – უპასუხა თავის ნათქვამში ღრმად დარწმუნებულმა ქალმა...

ნაზობროლა ქმარს სიზმარში ხშირად ნახულობდა. იგი ყოველთვის მასთან ბრუნდებოდა. ქალს ორმაგი ცხოვრება ჰქონდა, ერთი – რეალური, ქმრის გარეშე, ტკივილით სავსე და მეორე – ქმართან ერთად, ზღაპრული და ბედნიერი, რომელსაც სიზმარი სანუგეშოდ თავაზობდა. შენახული ჰქონდა მისი ტანსაცმელი, წერილები, კალამი, ცხვირსახოცი, ის ცარიელი ქალაღიც, რომელშიც მაშინ ვაშლის მტვერი გაახვია. ხშირად გადმოიღებდა ნიკოლოზის ტანსაცმელს, მოისიყვარულებდა და გულდათუთქული იტყოდა ხოლმე, ისევ მისი სუნი აქვსო.


ეჰ, ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე ტირილში გაუტარებია ნაზობროლას და თეთრად დათენებია თავზე. საბრალო ქალი გულისტკივილით სულ იმას ამბობდა, ქმარი თუ არ შემრჩებოდა, მისგან შვილი მაინც დამრჩენოდაო...

ქმარმა რომ ქორწინებიდან ორი კვირის შემდეგ დატოვა, ის ახალგაზრდა ქალი ღრმად მოხუცდა და დაუძლურდა, მაგრამ კერა არ მიუტოვებია და ისევე გულანთებული ელოდა თავის დიდ სიყვარულს, როგორც ახალგაზრდობაში... ნაზო ბებოს ერთი ჩვეულება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა: როდესაც მეზობლებთან გადიოდა ყავარჯენზე დაყრდნობილი, ფანდალითა და ჯოხის კაკუნით, სახლის კარს ღიას ტოვებდა, არ კეტავდა... ქმარს ყოველ დღე ელოდებოდა და ამბობდა, რომ მოვიდეს, კარი დაკეტილი არ უნდა დახვდესო... რა თქმა უნდა, ნიკოლოზი არ დაბრუნებულა...

ნაზო ბებო ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა. ნათესავებმა და თანასოფლელებმა პატივისცემით გააცილეს უკანასკნელ გზაზე და გულწრფელი ცრემლებიც დააფრქვიეს ტრაგიკული ბედის მქონე ქალის ცხედარს.

... მათ მხოლოდ ორი კვირის შექმნილი ოჯახი ჰქონდათ! ნუთუ არ მოსწყინდა ლოდინი ქალს?! ნუთუ შეიძლება ასეთი რამ?!

ალბათ, შეიძლება!.. ნაზო ბებომ შეძლო მოუბეზრებელი ლოდინი, ერთგულება და სიყვარული!..



„სამშობლოსმცოდნეობის“
გაკვეთილ-გასაკვეთები ხაშურში

თვალსა და ხელს შუა გაირბინა ქართული სტუმარ-მასპინძლობის მადლით, გულწრფელი ემოციებითა და სიყვარულით გამთბარმა აგვისტოს სამმა დღემ...

თუმცა, ყველაფერი უფრო ადრე დაიწყება...

საპატრიარქოს ჩოხოსნების ღირსეული წარმომადგენლის, ლექსო გელაშვილის (ლექსო მასნავლებლის) მონდომებითა და ენთუზიაზმით პროექტის „სამშობლოსმცოდნეობა“ გაკვეთილების (გასაკვეთების) შესამეცნებლად უამრავი მოზარდი გაერთიანდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ გაერთიანების მიზანი კი უფლის, სამშობლოსა და მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარულის სწავლებაა, რომლითაც ახალგაზრდები ლექსო მასნავლებელთან და თამუნა ალადაშვილთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მის წარსულსა და ისტორიაში მოგზაურობენ, ქართული ლექსისა და ქართული ჰანგების თანხლებით.

9-11 აგვისტოს გაცვლითმა პროგრამამ ჩოხოსანთა საზოგადოების მხარდაჭერით (ორგანიზატორები: მაკა დიდებულიძე, მათე ლურსმანაშვილი) ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაშისკარსა და ქვიშხეთის დ. ყიფიანის სახლ-მუზეუმში სტუმრობა, ასევე, იტრიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსის მიერ გამართულ სამეფუფო წირვაზე დასწრება და ახალი ბანას მშენებარე კომპლექსისა და პროფესიული კოლეჯის „ქართლი“ სასწავლო კორპუსის დათვალიერება მოიცავდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მისია, რაც „სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილების (გასაკვეთების) გაცვლითმა პროგრამამ შეასრულა, ოცამდე ჩამოსული და ადგილობრივი მოზარდის გაცნობა და დამეგობრება იყო, რომელსაც ხაშურელმა ოჯახებმა უმასპინძლეს.

შეხვედრის პირველი დღე ხაშურის თოჯინების თეატრში შედგა, ხაშურის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ოქროს ფარი“ (ხელ-ლი ნონა და პაატა თედიაშვილები) ხალხური სიმღერების გუნდის „ქართლი“ (ხელ-ლი გოგი შუბითიძე) და ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური წრის „აკვარიუმი“ (ხელ-ლი ეკა ბაქრაძე) ჩართულობით. შეხვედრა „აკვარიუმის“ მსახიობებმა გახსნეს ლიტერატურული კომპოზიციით „შესაქმის დღიდან მოაქჟამამდე“.

მესამე დღეს კვლავ თოჯინების თეატრმა უმასპინძლა პროექტის მონაწილეებს, რომელიც ლექსო გელაშვილის სტუდია „გუთნის“ ფილმის ჩვენებით დასრულდა. დღის ბოლოს სტუმარ-მასპინძლებმა ცნობილი მეფუტკრის გია ჯელაძის მეურნეობა დაათვალიერეს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოზარდებს შორის უფლის შეწევნით გადებული სიყვარულისა და მეგობრობის ხიდი მომავალშიც მეტად განმტკიცდება და იქნება საწინდარი საქმეთა მხოლოდ კეთილთა...



სტუმრად ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში

ნოველი



გულში ვერდატეული სიკეთე
(ნამდვილი ამბავი)

შუალამის 3 საათზე ჩამოვედი სოფელში.

სოფლის ცენტრში, გზაჯვარედინზე თეთრი ე.წ. „მარშუტკა“ იდგა, საზამთროთი და ნესვით დატვირთული, ღია კართით. იქვე, საბარგულში წრიალებდა მძინარე, შუახანს გადაცილებული მამაკაცი. ეძინა, მაგრამ მოუსვენრად. გულში და სულში ყველაფერი ჩამეწვა... ეს არის სახელმწიფო? ეს არის ასაკის, ადამიანის, პიროვნების დაფასება და ადამიანური ყოფა?!

დილით ადრე მე და ჩემი მეზობელი ერთად გამოვედით და საზამთრო და ნესვი ვიყიდეთ. მეზობლის ქალს დამატებით ნესვი აჩუქა კაცმა. მადლობა გადავუხადეთ, – იშვიათი ადამიანი ხართმეთქი, ვუთხარი. განითლდა, დაიმორცხვა, თავი დახარა...

იმავე საღამოს სტუმრად ვიყავი წასასვლელი რამდენიმე ოჯახში და გადავწყვიტე, ყველასთვის საზამთრო და ნესვი წამეღო.

აი, ასე დაიწყო ჩემი და ამ პატიოსანი კაცის სულების ურთიერთობა. ჩემს შვილსაც აჩუქა ნესვი. პატარა ნესვი მინდაო, ბავშვმა გადმომძახა მანქანიდან, აილო და შეანოდა, არაფრით არ გამომართვა ფული.

აღარ მეგონა, ასეთი უანგარო ადამიანები თუ კიდევ არსებობდნენ. გული გამითბა...

დილით ფეხზე წამოვხტი (5 საათზე ვიღვიძებ), საჭმელი გავამზადე, გავედი და იმ სკამზე დავუდე, რომელზე ჩამომჯდარიც ამ სიტკბოებებს ყიდის ეს, ღვთისწიერი კაცი და გამოვიპარე. საღამოს ისევ ვიყიდე მისგან საზამთროც და ნესვიც. ბავშვი თან არ მყავდა, მაგრამ გაახსენდა, მოიკითხა და ერთი პატარა ნესვი მომანოდა წამოსვლის წინ.

როგორი არაადამიანი უნდა ვყოფილიყავი, რომ ფული შემეთავაზებინა...

დილით ისევ საუზმე მივუტანე, დავუდე და გამოვიპარე...

მესამე დღეს დილით, კვლავ საუზმით ხელში რომ მივედი იმ ადგილას და, ის ის იყო, სკამზე უნდა დამედო, დავიხედე და ცრემლები წამსკდა: სკამზე 3 ცალი ნესვი იდო...

ასე გავცვალეთ ჩუმად, უხმოდ, უცერემონიოდ ჩვენი გულები, ჩვენი სიყვარული, ჩვენი ღიმილები მე და იმ კეთილმა კაცმა...

ავიღე ჩემი ნესვები და მოვიარე სოფელი. უკან რომ ვბრუნდებოდი, დავინახე, ჩემს გამომცხვარ ლობიანს ჭამდა. მივესალმე – ნესვი და საზამთრო მინდა-მეთქი.

– სულ ამოვიყიდე, ბაბუ, ახლა წავალ, ჩავეხუტები ჩემს შვილიშვილებს და დავისვენებო... ძალიან, ძალიან ჩავეხუტე, თმაზე ხელი გადამისვა და თავზე მაკოცა...

ჩემს გამომცხვარ ლობიანსა და ქაბაბზე დამპატიჟა, – ვიდაც, ღვთის კალთიდან გადმოვარდნილი, ყოველ დილით „საკურთხს“ მიტოვებს, მოდი, დამეწვიე, მზარეულია ალბათ, ვერ დავინახე ვინ არის, საიდან მოდის და საით მიდისო...

ერთი ქაბაბი ავიღე, მადლობა გადავუხადე და ტირილით დავბრუნდი მანქანაში, სადაც ბიძა მელოდებოდა. გაუკვირდა ბიძაჩემს, რა მოგივიდა, შვილო, ხომ კარგად ხარო?

როგორ შემიძლია ვიყო ცუდად, როცა ჩემს სამყაროში ცხოვრობს მოხუცი, რომელსაც ნესვებზე და საზამთროებზე მოუხერხებლად ძინავს... როგორც იქნება, გადააგორებს ღამეს და დილით თავისი ოფლით, შრომით და წვალეებით მოპოვებულ სიტკბოებას უანგაროდ არიგებს...

მე ძალიან, ძალიან კარგად ვარ... მე ძალიან მიხარია, რომ არსებობ... მადლობა უფალს... გულში არ დამეტია სათქმელი...

წყარო: სოციალური ქსელი